

კვირა, 15 ნოემბერი 1915 წ.

ფული 10 კპ.




# ექიმი

# გამოცდა

იუმორისტ.  
უურნალი

№ 27



ჭოლა ლოგოთისი

## ჭ ო ლ ა.

ვას უნდა გაუკვირდეს, რომ, მაგალითად, ხელი  
დილით, გაზეთის „ახალ შებავში“ დაახლოვებით  
ასეთი ცნობა გამოქვეყნდეს:

„მეორე სათაობიროს ყოფილ დეპუტატს, აშ  
განსკვენებულ ჭოლა ლომთაობიდეს, ხელახლა სამარ-  
თალში იძლევენ; ბრალით სცეპენ იმას, რომ მოკე-  
და მაშინ, როდესაც სამშობლოში მისი დაბრუნე-  
ბის საკითხი ჯერ გადაშეცვეტილი არ იყო და, ამ  
გვარათ, სიკვდილი გამოიყენა სადემონსტრაციო სა-  
შუალებათ, რათა რუსეთის მცხოვრებნი აელელვები-  
ნა და არსებულ წესების წინააღმდეგ აემხედრე-  
ბინა“.

სწორეთ ახი იქნება მასზე!

განა აშერა არ არის, რომ ეს უკანასკნელი  
ბოროტ მოქმედება ჭოლამ წინათ განზრახული მი-  
ზნით ჩიდინა და მოკვდა მხოლოდ იმიტომ. რომ  
მთავრობისთვის ხელი შეეშალა მას დაბრუნების  
შესახებ აღმრულ შუამდგომლობის განხილვაში?

ჭოლამ მშენივრათ იცოდა, რომ სულ რაღაც  
ათიოდე წლის განმავლობაში ზემოხსენებულ შუა-  
მდგომლობის განიხილავდენ და ასე თუ ისე გა-  
დაწვეტდენ.

განა არ შეეძლო ეს რაღაც ათიოდე წელი-  
წალი მოეთმინა, ვადრე საკითხი გადაშეცვებოდა,  
და შემდეგ მომკვდარიყო?

ჩნიონ ის ვერაგული განზრაბენა, ჭოლას სიკვდილში  
რომ იმალება.

მამინ ჭოლას საქართველოში დაბრუნების საქ-  
მის წარმოება არ შეწყდება და მოსალოდნელია,  
ადრე, სულ ადრე, გაანთავისუფლონ კიდევ ჭოლა.

„ვინმე ლეგა მოსასხამიანი“ მივა მაშინ სარა-  
ტოვის ლარიბთა თავშესაფარში და ჭოლას განთა-  
ვისუფლების ფირმანს მიიტანს:

— დამიძახეთ მეორე სათაობიროს ყოფილ  
წევრს, სასჯელ-მოხდილ კატორგელს, ბიკენტი  
ლომთაობიდეს!

— უკაცრავად, მაგრამ ბიკენტი ლომთაობი  
დიდი ხანია მოკვდა.

— როგორ თუ.. როგორ ბედავთ? როგორ  
გაბედა?..

— თქვენო მაღალშობილებავ, ჩვენი ბრალი  
არ გახლავთ .. ის ისეთი მოუსვენარი რამ იყო,  
რომ...

— არა, როგორ გაბედა მეთქი ნება-დაურთ-  
ველათ?!.

ვინ იცის, იქნებ, სწორედ ამ ეფექტის გუ-  
ლისათვის მოკვდა ჭოლა!

ჭოლას უყვარდა ასეთი ეფექტები.

და რაკი ასე არ მოიქცა და ნებადაურთველათ  
მოკვდა უდროო დროს, აშერაა რაიმე ფარული  
მიზანი ჰქონებია. ხოლო რა მაზანი უნდა ჰქონე-  
ბოდა მეამბოხესა და ურჩ ჭოლას, თუ მთავრობის  
შეწუხება და ხელის შეულა არა!

ოხ, ეს ჭოლა, ეს ჭოლა!

სიკვდილშიაც რომ თავისი არ მოიშალა!

ჟეშმარიტათ, ახი იქნება მასზე, ერთ საპრალ-  
მდებლო ოქმს რომ კიდევ ჩააბარებდენ...

მაგრამ, ადვილათ შეიძლება, უაქმე სულ სხვა-  
გვარათ დატრიალდეს.

ვან იცის, იქნებ არც კი მააქციონ ყურად-  
ღება ჭოლას წინადგანზრახულსა და ნებადაურთველ  
სიკვდილის რევოლიუციურ სარჩულს, ან ვერ შეამ-

და ის ჭოლა გადასახლდა კიდეც თავის „შენერჩე“, იქნერ ციხეში სამუდამო საცხოვრებლათ.

ის ვენერა, სადაც ეხლა ჭოლა დაბინაფდა ნიადაგ გზას უნათებდა მას.

მომავალის აკენი და სავანე — მუშა ხალხი, — ის ჭოლას გარსკვლავი.

და ციხე, სადაც ახლა ჭოლა დატყვევებული, და საიდანაც ვერასოდეს ველარ განთავისუფლდება

— ამ მშრომელი ხალხის გულია!

## ეშმაკმა იცის!

— ალბათ შემოვიდოდა... ასე... ასე...

— რატომ „ალბათ“, მევობარო, და ისაც „ასე... ასე... ასე...“ ნუ თუ ამდენი ხნის განმავლობაში გარკვეულად არ იცი რამდენი შემოვიდა?

— კარგია ერთი, ჩამომესხენ ღვთის გულისათვის, ეშმაკმა იცის მაგათი საქმე...

— უჰუუუ...

როცა ჩემს სახელს ყური მოვკარი, უნებლივთ დამაინტერესა მუსაიფის შინაარსმა.

— მართალია, ყველაფერს, რასაც ჩვენი მოლვაშები თავს ვერ გაართმევენ, ეშმაკს მიუდენიან ხოლმე, მაგრამ ნეტავ რაზე უნდა ჰქონდეთ მუსაიფი ამ ყმაწვილებას?..

ვფიქრობდი გუნებაში და თანაც სირცხვილის გრძნობა მქეჯნიდა. იმათი აზრით „ეშმაკმა იცოდა ყველაფერი“ და ნამდეილათ კი მე არაფერი არ ვიცოდი. ცნობის მოყვარეობამ გამიტაცა. უფრო ახლო ვეტენე მოუბარო და სმენად გადავიწეც.

— დაიბეჭდა ვგონებ ხუმეტი ათასი ცალი...

— არა, მეტი. ხუმეტი ათასი წინა პირველათ იყო განზრისხული, მაგრამ როცა პროფინციიდან განცხადება განცხადებაზე მოღილდა: გამოგვივზავეთ, ასი, გამოგვივზავნეთ ხუთასი, გამოგვივზავნეთ ათასი, გამომცემლებს იმედი მიეცათ და მეტი დაბეჭდეს.

— მე მგონია ხუმეტი დაბეჭდეს. მართალია პროფინცია აღფრთოვანებით გამოეხმაურა, მაგრამ, როგორც მახსოვს ქალალი ვერ იშოვეს.

— ცნობის მოყვარეობა ჩემი წუთობით იზრდებოდა. გადმოვალაგე მეხსიერების ყუთიდან ყველაფერი მაგვარი მოგონებანი, შევსცურე შორეულს წარსულში, მაგრამ ამაოდ ვერარა ნიშანი, არიგოს:

ვთქვათ, საბრალმდებლო თქმს გადურჩა ჭოლა. ჩვენი კულტურული საზოგადოების სამსჯავროს ხომ მაინც ველარ ასცდება!

წარმოიდგინეთ, ჭოლამ 15 წლის წინეთ ბელეტრისტობა დაიწყო და ამ ხნის განმავლობაში მრავალი მოთხოვობა და ამბავი დასწერა. მას იმ თავითვე თვალსაჩინო ნიჭი ეტყობოდა და ეს ნიჭი, რაც დრო გადიოდა, უფრო იზრდებოდა და შევნდებოდა. მისი შემოქმედება იმდენათ თავისებური და ძლიერი იყო, რომ ჭოლა ბევრის აზრით, საუკეთესო მწერლათ ჩაითვლებოდა თანამედროვე ბელეტრისტებში. მისი ნაწერები რომ შეაგროვო, რამდენიმე ტომი გამოვა. მან თარგმანი ჰქონდა. მან თარგმანი ჰქონდა და ეს თარგმანი ცალკე წიგნათ გამოვიდა.

მაგრამ ჭოლა აბა რის ჭოლა იქნებოდა, რომ აქაც თავისი ზენ არ გამოეჩინა და მის მაგიერ, რომ დაეცადა, ვიდრე ჩვენი კრიტიკის და საზოგადოების კულტურული ნაწილი დააფასებდა მის ბელეტრისტულ ლვაშლს, ასე მუხანათურათ არ მომკვდარიყო.

თითქო ჭოლამ არ იცოდა, რომ ჩვენ პირუთვნელსა და ფხიზელ კრიტიკოსებს ერთი წუთი დრო არა ჰქონდათ და სანამ ქართველ უაილდების, მოპასანების და ტეტმინიერების შემოქმედებას არ შეამყობდენ, სპირიდონ მცირიშვილისა და გერისათვის ვერ მიიცლიდენ!

კეშმარიტათ სასტიკი მსჯავრის ღირსია ჭოლა ჩვენი მოწინავე საზოგადოებისა და ქართული სიტყვა-კაზმული კრიტიკის მხრითაც...

ჭოლას ერთ-ერთ გრაციოზულ „სილუეტში“ ჰატარა ბავშვი უცხადებს თავის ტუსაღ მამას, მე და დედა ვარსკვლავზე, ვენერაზე, უნდა გადავსახლდეთ საცხოვრებლათო. — მე კი არ წამიყვან თანო? ჰკითხავს მამა. ბავშვი პირში თითს ჩაიდებს, დაფიქრდება და კარგა ხნის დუმილის შემდეგ ასე უჰასუხებს:

— როგორ არა, მიმილო, წაგიყვან! იქ, ვენერაზე, ხომ არის ციხე? შენ ხომ ციხეში უნდა იცხოვორო!

თარი კვალი. მოსაუბრებმა და მათ შორის უცრი  
ხნიერმა ვგონებ მეათეჯერ გაიმეორა სიტყვა: „ეშმა-  
კმა იცისო“ და ჩემს გულში დანთებულ ცეცხლს  
ნაფი დაასხა.

მიღიან. მივყვები. მუსაიფობენ, ვუსმეს.

— არა, რუსული გამოცემა ნახევარზე გაცი-  
ლებით ნაკლები დაიბეჭდა. ეს ასეც უნდა მომხდა-  
რიყო.

— ვითომ რატომ?

— იმიტომ, რომ უმთავრეს მკითხველებს ქარ-  
თველები შეადგენენ.

— კი, მაგრამ ქართველებში ვინც ქართული  
კითხვა იცის, იმას რუსულიც გაეგება და ვინც  
რუსული იცის იმაში ქართულის მცოდნე არც ისე  
ხშირია.

— ერთი სიტყვით ეს ასე იყო: „ძმური სი-  
ტყვა“ ორჯერ და მამჯერ მეტი დაიბეჭდა, ვიდრე  
„ბრატსკოე სლოვო“, რატომ მოხდა ეს ასე ეშმაკ-  
მა იცის!

— აჰაა! აი რაში ყოფილა საქმე! ვინ სირ-  
ცხვილო, ვაი სირცხვილო!..

ვიმეორებდი გუნებაში და თან ვეძებდი ჩემი  
ცოდნის სალაროში ყოველგვარ წვრილმან მოგო-  
ნებას „ძმური სიტყვის“ შესახებ.

გამახსენდა: — ჯერ კიდევ 29 ივლისს, „თანა-  
მედროვე აზრის“ მე-123 ნომრის ქრონიკაში ეწე-  
რა: „ქართველ მაჭიადინთა დღე დასრულდა. თრშაბათს,  
27 ივლისს გაიყიდა „ძმური სიტყვის“ დაწენილი  
ნომრები. ამავე საღამოს შეუდგნ უუჯაბებიდან ფუღუ-  
ბას თვლას“.

— კარგი და პატიოსანი! ველაპარაკებოდი მე  
ჩემსავე თავს, — ფულების თვლა დაიწყეს 27 ივლისს  
სალამოთი. მას შემდეგ გავიდა: 5 დღე ივლისი,  
31 დღე აგვისტო, 30 დღე სექტემბერი, 31 დღე  
ოქტომბერი და 8 დღე ნოემბერი, სულ 105 დღე.  
მე არ ვარ იმის მომხრე, რომ მუშა, თუნდაც იგი  
საქველმოქმედო საზოგადოებაში მასხურებდეს, რად  
ასათზე მეტი ამუშაონ, მაგრამ ამ შემთხვევისთვის  
ავილოთ სამუშაო დღე 5 საათის სიგრძისა. გამოვა  
სულ 525 საათი. საათში ჩვეულებრივი მუშა და-  
ითვლის არა ნაკლებ 3600 უზალთუნისა. (საჭიროა  
ვიცოდეთ, რომ „ძმური სიტყვა“ იყიდებოდა ცა-  
ლი ორ შაურათ). მაშასადამც 525 საათში ერთ  
კაცს შეეძლო გადაეთვალა 1890000 უზალთუნი,  
ანუ 189000 მანეთი.

— მაგრამ, ვმუსაიფობდი ჩემთვის, საქმე იმა-  
შია, რომ თვლა ჯერაც არ გათავებულა. მაშასა-  
დამც შევისავალი „ძმური სიტყვისა“ ზემოაღნიშ-  
ნულ თანხის უთუოდ სჭირობობს.

თავისულათ ამოვისუნთქე! — დიახ, ახლა ეშმაკ-  
მა იცის, რამდენი შემოვიდა „ძმური სიტყვის“  
გაყიდვით ჩვენი ძმების აქარლების სასარგებლოთ,  
დაახლოვებით მაიც იცის მეთქი, არხეინათ ჩავი-  
ლაპარაკე და...

— სწორედ ამ დროს მომესმა უკანიდან ბოხი  
ხმა ივანე ქველმოქმედოვისა.

— ეშმაკმა იცის მაგათი თავი! კაცო, ავბო-  
ბენ ზოგიერთ აგენტებს ჯერაც არ წარმოუდგენიათ  
პროვინციალან ხვედრი ფული და ანგარიშიარ  
გაუსწორებიათ... აბა საიდან მეცოდინება რა შე-  
მოვიდა.

— ვინ არიან ეს აგენტები? შეეკითხა ელენა  
ქველმოქმედოვისა.

— ეშმაკმა იცის იმათი თავი!

— თვებრუ დამესხა! ახალი კითხვა, ახალი თავ-  
სამტკრევი საგანი! ახალი შეურაცხყოფა ჩემი ეშმა-  
კური თავმოყვარებისა.

— თოომ, ქველმოქმედებო! დამაცადეთ, მე  
თქვენს ახთში ამოვალ, უთუოდ ამოვალს თვენი  
მიზეზით უნდა ახსენონ წარა-მარა ჩემთვისახელი.  
დამაცადეთ, დამაცადეთ. მე არასოდეს არ მიყვარ-  
დნენ ქველმოქმედები, მეტსაც ვიტყვი: — ქველმო-  
ქმედი და ბოროტ-მომქმედი ჩემთვის ბევრით არ  
განსხვავდებიან, და თუ... და თუ... და თუ კი ისი-  
ნი ისე წარამარა „მოილებენ სიხელსა ჩემსა ამაოსა  
ზედა!..

ამ ბოროტი განზრახვით გავექანე საქველმოქ-  
მედო საზოგადოებისაკენ. დიახ მსურს გავიგო იმა-  
თი სახელი, ვისაც ივლისიდან ჯერაც ვერ გადა-  
უთვლია „ძმური სიტყვის“ გაყიდვით შემოსული  
უზალთუნები,

რომ ამ პირებს ანგარიშსა და ყოფაჭევაში  
ორი დავუსვა.

ვნახოთ.

ეშმაკ.



# პეტერი მგელი.

(განაგონი)

დაბერდა მგელი, ბეხრიკი,  
დასძვრა ბრკყალო და კბილები  
გას ხორცულ ტყავის ნაგლეჯი  
და ძვლებზე ნაცოდვილები.

ჭილაპარგა ძეელი ჯავარი,  
ძველი რიხი და ღონეა,  
ღოლეს, როცა ამას იგონებს,  
სიზმარი ჰიახა ჰეონია.

ახლო აჩრდილიც არ არის  
იმ რაინდობის ქამისა;  
ერთი-ლა შერჩა წარსულის,—  
— მახვილი მადა ქამისა.

მაგრამ რა ქამოს!?!?!? ითხოვოს?  
ვინ არის თხოვნის გამგონე?  
თვითონ იშოვოს... სად შესწევს  
მას საამისო ძალლონე?!?!

არა და კვდება სიმშილით,  
რომ დადის, ატყობს იქცევა...  
სხვა ღონე ვერა იღონა  
და მწყემსს მიმართა ისევა.

უთხრა მას:— რაა, ძმობილო,  
გადამკიდიხართ მწყემსები  
და ჩემი ნახვა გესობათ  
თვალში თქვენ, ვითა ნემსები?

მართალი არის, ზოგ-ზოგჯერ  
მოგტაცებ ხოლმე თითო ცხვარს,  
მაგრამ ეს კუჭის ბრილია,  
თორებ ქურდობა არ მიყვარს.

ვინაა დინაშაული,  
რომ მშიერს ჭამა სჭირია,  
რომ მუცლის მოსამსახურე,  
კბილები, ყბა და პირია?

მოდით და ერთი გამაძლეთ,  
მომეცით ლუქმა დლიური  
და გამომცადეთ რა მშვიდი  
შევიქნე მე ეგ ტყიური.

— რა გაძლომაო, სთქვა მწყემსმა,  
ვისი გაძლომა, მსუნაგის!?!?!

მგელი გამძლარი ვინ ნახა  
მობინადარე ბუნაგის?

საქმეც ის არის შე წუწყო,  
რომ არ გაძლები აროდეს...

გამშორდი, სულს რომ მიათრევ  
შენ ჩემგან, ეგ გიხაროდეს.

მგელი ჩიუბის თავი სად ჰქონდა,  
აღარ ებადა კბილები...  
მეორე მწყემსთან წავიდა,  
პირველის განაწილები.

— ძმობილო, იცი?!! უთხრა მას  
მე ერთი რამე მწადია,—  
შენთან მოყვრობა ვიფიქრე.  
ეგრე სჯობს ცხადზე ცხადია.  
პირობას დავდებ,— გემოყვრო,  
დავაგდო ჩემი იდათი.

ოლონდაც ყოველ წელიწადს,  
მაძლიერ ცხვარი ითათი.

მერე მე ჩემთვის, შენ შენთვის,  
სიტყვა სიტყვა... პირია...

აღარც ამდენი ქოფაკის  
ყოლა და რჩენა გვირია.

— ათი ცხვარიო?!! რას ამბობ,  
რომ სული გაგაგდებიო!  
ერთის მომცემი ვინაა!  
რას მიედ-მოედებიო?!!

— მაშ, არც ერთს მომცემ?!! სთქვა მგელმა,  
— მგელო, გამშორდი ხელადო,  
ცოცხალის რომ გიშვებ არ გყოფნის  
შენ ჩემგან საციქველადო?

კარგია შენმა სიცოცხლემ  
თუ ავყევ მე შენს ჭორებსო  
და ხარკი მივცე მებეგრეს  
ადვილათ მოსაშორებსო.

— რა მეშველება!! სთქვა მგელმა,  
ნუ თუ არ არის რამე ხსნა?  
მესამე მწყემსთან წავიდა,  
სხვა გზა რა ჰქონდა, რა ექნა?

— მწყემსო, უთხრა მას,— გავიგე  
რომ მოგკვდომია მურია,  
და ახლა სხვა ძალლს დაეძებ,  
აკისრო სამსახურია.

და გირჩევ, წადი იოლად,  
მოდი ჭკუასთან შენც ახლო,  
მე დამიუენე დარაჯათ...  
მიყურე, როგორ გეძალლო!??

და მერე კიდვე, მას შემდეგ  
რა რომ დავაგდე მგელობა,  
შენთვის მოძევა ვიქნები...  
ვიცი დარაჯის ხელობა.

მწყემსი აენთო, უყვირა!  
— როგორ თუ მემასხრებიო!!!

და შენგან მერე ვინ ისსნას  
ჩემი საწყალი ცხვრებიო!!!

საღ თქმულა კაცმა საცავად  
ქურდს ჩააბარა ქონება!!!  
გამშორდი... არ, დამკარგვია  
ჯერ სამაგისოდ გონება.

— ომ, რა ძნელია სიბერე,  
ეგ ახერი და ტიალი!..  
სთქვა და სხვა მწყემსთან წავიდა  
ეს მგელი ნახეტიალი.

— მიცნობ მე მწყემსო? ჰყითხა მას.

— შენ კი ვერ გიცნობ პირადო,  
მაგრამ, ჰო, შენისთანებს კი  
ბევრს ვიცნობ ჩემდა ჭირადო.

— ჩემისთანებსო? ვინ ნახა  
ჯერ მგლები ჩემი ფარდები?  
მე, როცა კარგათ გამიცნობ,  
უმალვე შეგიყვარდები.

— ვითომ და რა ხარ ასეო,  
მგელი ხარ, მეტი ხომ არა.

— მგელი ვარ, მარა უვნები,  
ჩვარი ვარ, ერთი, ტომარა..

ცოცხლებზე ვეღარ ვნადირობ,  
ბეჩავი, მე უსვებედო...

დამრჩვალი რამე თუ ვნახე,  
ევები იმას შევბედო.

ამიტომ მოვალ ზოგ-ზოგჯერ  
მე ამბის გასაგებადა,—  
ევების რამე მოვიკვდა  
რომ მომცე წასალებადა.

მხოლოდ დამრჩვალი მომეცა  
რომ გამოვიძლო მუცელი...  
თორებ სხვა ზიანს შენ ჩემგან,  
ნურც იფაქრებ და ნურც ელი.

— მოხეალო? !? ? გასწი! მთელ ფარას  
დამიხოც შენ ერთ ღამესო,  
მგელი დამრჩვალის მჭამელი  
დაზოგავს ცოცხალ რამესო.

გაძლიო, თუნდაც დამრჩვალი...  
რა მეგობარი შენ ხარო...

სანამ ცოდვილ სულს დასტოვდე  
გამშორდი რას მიდგეხარო!!!

მგელი შეშინდა: სთქვა, — მწყემსი  
ავია, ავი სახისო,

”კლიაუზნია“ ვიღაცა,  
რა მკახედ გაიძახისო!

და გამობრუნდა განგალით  
სხვა მწყემსს მიადგა კარებზე.

— ერთს კიდევ ვსინჯავ ჩემს ბედსო,  
სთქვა დაჩვეულმა ვარებზე.

— მწყემსო, უთხრა მას, ტვავი მაქვს  
მე ერთად ერთი ქონება,  
და მსურს შენ მოგცე ფეშქაშად,  
ნახე თუ მოგეწონება.

გასინჯა მწყემსმა და უთხრა:  
ჰო, კი ღირს გახდის ჭირადო,  
ეტყობა, ძალლის კბილები  
მას არ გაჰკვრია ხშირადო.

— დიახ, და საქმეც ეს არის,  
რომ სანაქებო ბეწვია.

და რაღან უკვე ვიგრძენ რომ  
სიკვდილის უამი მეწვია,

ანდერძი დაგსდევ, — როს მოკვდე,  
(სხვა ინ კი რა დამრჩენია)

ტყავი შენ უნდა გამხადო,  
ლმერთმა შეგარგოს შენია.

ოლონდ კი, სანამ ვიცოცხლებ,  
მასვი — მაჭამე, მარჩინე...

და როცა აღვესრულები  
ანდერძი გამოაჩინა.


მწყემს გაეცინა და უთხრა:

— ვეკრძალვი ხარჯებს კერძოთო.  
სჯობს ახლავ გაგხდი ე მაგ ქურქს,  
უხარჯოთ, უანდერძოთ.

და შებლში ტყვია უსწორა  
(ის კეტით ალარ აწამა)

მოჰკლა და ტყავი გააძრო,  
ლეში კი ძალლებს აჭამა.

ა. ბლოკვაზე.



## ნარკვევი.

(ანუ სალაყბო წერილი)

„შეჰქრთა სუსხი... შავი ნისლი  
უფსკრულისკენ მისრიალებს...  
ჰა დრომ დაჰქრა სანეტარომ  
და ზამთარიც ხუჭავს თვალებს!  
იქ შეხედე, ცის კიდურზე,  
მზე ოქროს სხივს აელვარებს!  
მთის მწვერვალზე ძლევის დროშის  
აღმასივით აფრიალებს.  
ამიტომაც შავი ნისლი  
უფსკრულისკენ მისრიალებს...  
ზამთარი თრთის სულთ მობრძავი—  
სამუდამოთ ხუჭავს თვალებს“.

გამ. „სამშობლოს“ სურ. დამატება № 29.

ეს ლექსი ძველ დროში დაწერილია, იმ დროს, როდესაც მწერალ „თაგუნას“ სიტყვით: „საქართველოში ერთ მილიონ მგოსანზე ერთი პცხოვრები მოდისონ“. მაშინ თურმე, თუ პოეტი არ იყავი, სოფელ-ქვეყანაში თავს ვერ გამოყოფდი. აუცილებლით ყოველივე სქესს, ცხრა წლიდან უნდა დაეწყო ლექსების წერა, მიღრამ ეს დალოცვილი სამწერლო ნიჭი ყველის ხომ არ გამოყვება; არა და სხვა ყოველივე ხელობა სამარცხვინოდ იყო აღიარებული. მაგალითად: მიწის მუშას, უკაცრიავდ პასუხია ვირს ეძახოდნ. ამისათვის ეგრედ წოდებულ მიწად-მომქმედ აგრონომებმა დაანებეს ამ თანამდებობას თავი და მგოსნობა იწყეს. (მაგ. სიმონ ქვარიანი, და სხვები)... რასაკვირველია არც აღუკანტებს შველოდა თავის აღუკანტობა სახელის მოსახვევად, განსაკუთრებით მის შემდეგ, რაც მგოსან აკაქიმ მათ მჩხავანა კატები უწოდა. ამიტომ ბევრმა ვექილმა იწყო მგოსნობა (გვაზავდა და სხვ.). ჰო და ასე იყო, ყოველი პროფესიის კაცი. ამისთვის გახშირდა სხვისი ნაწერების მითვისება, მაგ. ზემო დასახელებული ლექსი ვეხდება ჩენ სამ პიროვნების ნაწარმოებში: პირველი ეკუთვნის სოლ. გოშაძეს, 1907 წ. იხ. „ახალი ჩანგი“ გამოც. 1910 წ. გვ. 240, და რეკვე როკოკოს ზეპირ სიტყვებში, მესამე ეკუთვნის პლა-გიატორ კ. მიმქრალს. (კოსტა ცერციანებს) გამ. „სამშობლოს“ დამატება 1915 წ. თუ იმას არ ვიანგარიშებთ ვითომც, რომ კვერცხი უმანდელია ქა-თაზე, ეს ლექსი უნდა მივაკუთვნოთ სოლ. გოშა-

ძეს. კ. მიმქრალს კი მოპარული უნდა ჰქონდეს. რეკვე-როკოკოზე კი ვერაფრს ვიტყვით, ვინაიდან ის იუმორისტი იყო და ასეთს სერიოზულს ვერა-ფერს დასწერდა. მხოლოდ ზეპირ-გადმოცემებში ჩენ ვხვდებით: „მოძრაობის დროს, თურმე, სადლაც ხის ქვეშ ხალხს კრება ჰქონდა. ერთი შემთხველებულ მუნდირიანი ხმელი, მორჩილი, ქერა კაცი, ხეზე შემდგარიყო და ხალხს ეუბნებოდა: „დღევანდელი მსხვილი ბურეუაზია, რომელიც ობობასავით გვწოვს სისხლს, სუველა ჩენს ზურგზეა გასუქებულიონ“. იქვე მდგომა რეკვეშ მოსწრებულიათ მიუგო მას:

— შე მამაცხოვნებულო, შენს ზურგზე რწყილი კბილებს დაიმტვრევს და ისინი როგორ გასუქებოდენო.

რეკვე როკოკო.

## რკინის გზაზე მოგზაურთაოვის

(ნასკანები)

რკინის გზაზე სამგზავრო ბილეთის ფასი არ გადახდება ბავშვებს (რომლებიც იმყოფებიან დედის მუცელში).

მგზავრს არ გადახდება ბაგაჟის ფული (იმ ბარავის, რომელიც სახლში დარჩია და თან არ მიაქვეს).

მესამე კლასით მოგზაურობის დროს ზედ მეტს არავინ გადახდევინებს იმ მოგზაურს, რომელიც აღებული აქვს მეორე კლასის ბილეთი.

შეუვარებულებს ნება ეძლევა რკინის გზის ვაგონებში ერთმანეთს ერთშეიცვალ, ამის ჯარიმათ არავინ არას ითხოვს.

იმ შემთხვევაში, თუ არც ერთ ვაგონში თავისუფალი დასაჯდომი აღგილი არ მოიპოვება მგზავრს სრული ნება აქვს ფეხზე გაჩერდეს.

კველა მგზავრს (გარდა ხუცისა) უფლება აქვს ჯიბით უფასოთ ატაროს ნივთები.

საქალებო განყოფილებაში მხოლოდ იმ მამაკაცს შეუშვებენ, რომელიც კონდუქტორს „მაღარიჩით“ დაარწმუნებს, რომ ის დედაკაცია.

კველა ვაგონი, რომელიც სამგზავროთ არ არის დანიშნული და სადგურებში დგას, სუფთად არის დაცული.

რკინის გზის მასხურებს უფლება არ აქვთ მგზავრებს (რომელთაც ბილეთი აქვთ) ზედ მეტი გადახდევინობა, იმისათვის, რომ მათ აგინებენ და ზოგჯერ კიდეც სცემენ.

„წესრიგის დაქაცავათ ყოველი კორიდორის შესავალთან სდგას მექარე, რომელიც მიუცილებლად უნდა იყოს დანიშნულ ადგილის, რომ მოწაფეთა-განი არავინ გამოუშვის და არც არავინ შეუშვის. მექარესა ჰყავს ამხანაგი, რომელიც მას ეხმარება ხოლმე.

ალ. ჭიჭინაძე. („სახ. ფურ.“ 418)

## შარადი ქართულ გიმნაზიაში



ა. ჭიჭინაძე. გამარჯობა, ყოჩაღები!

შხახურთა რაზმი. გამარჯვებას ვუსურვებთ თქვენს მაღალ დირექტორობას!

## თფილისის ტრამვაი



**რასსინი.** მოიღეთ მოწყალება ღვთის გულისთვის, ხომ ხედავთ ჩემს სამოსელს?

### ბრძანება ეშმაკისაგან.

(ზურუნასაღმი ფოთში)

კერძო ცნობები მოსდის ჯოჯოხეთს,  
შენი სიჩუმე გვაკეირვებს დიდათ:  
„სერგია რაღან ალარ გმოდგა  
შანტაჟისტების გზათა და ხიდათ,  
პეტრეზა შვილის წართმევა სურდათ,  
შემდეგ ვასილზე კვლავ მისაყიდათ,  
სახლში მიმავალს დაესხენ თავზე,  
როს მიდიოდენ ბაზრიდან შშვიდათ.  
ტყვე დედა-შვილმა შექმნეს კივილი,  
პოზიციური გაჩალდა სროლა,

ვასილი დასჭრეს თუმცალა პეტრემ  
შანტაჟისტებსაც კა მიაყოლა.  
მოულონელმა ცხარე შელულმა,  
დასცა მთელ ქალაქს რა შიშის ზარი,  
ყველა სახლებში ჩაქრა სინათლე,  
გაზარბაც ხელათ დაჰკერა კარი,  
რაღან მეკობრე მტერი ეგონათ,  
ზლვიდან ხომალდით შემოპარული.  
ვინ იფიქრებდა მტერი შინ გვყავლა,  
მტერი „მოყვრებში“ თავ შეფარული.  
მსხვერპლიც გადარჩა შეუწირველი,  
დამნაშავენი კი მიიმალა,

თუმცალი იმათ აღმოსაჩენათ  
მიღებულია ყოველი ძალა“  
თუ მართალია ყოველი ესე  
და შენ კბილებით აჩერებ ენას.  
ალბათ გაშინებს შანტაჟისტები,  
არ ერიდები ეშმაკის წყენას.  
ას ორი მუხლით უნდა დავსაჯოთ  
მშიშარა ჩვენი თანამშრომელი,  
აგე პასუხი ჩვენს ბრძანებაზე  
ჯოჯოხეთიდან არის რომელი.

## განმარტება ეშმაკისადმი.

ბოროტ სულების გულთამხილველო,  
სრულო მმართველო ჯოჯოხეთისა,  
სასუფეველის უარმყოფელო  
გამარისხებო მაღლით ღმერთისა!  
მივიღე თქვენი მკაცრი ბრძანება  
რითაც მომელის სასჯელი მწარე,  
სასჯელზე უფრო მე ის მაშინებს  
არ ავიჯანყდეს შავი ზღვის მხარე.  
ერის ოჯახში მახინჯ შვილებზე  
თუ გავამეღინეთ სუყველაფერი,  
გამცემ-მარცველი, შიშველ-მშიერი  
ხო გაიღონძლა ქართველი ერი?  
იქნება ფიქრობთ, ექს-რაინდები  
სხვა ტომის არის, ან სხვა ნაცია?  
არა... ისინი კარგა ცნობილი  
და შინაური ჩვენი კაცია.  
რაღა ვამხილო, რაც ყველამ იცის,  
რასაც სუყველა ერთგულად ფარავს  
კაცი, რომელიც არ სთეს, არა მკის,  
არც მოხელეა, არც მიწას ჰბარავს,  
მდიდრულად ცხოვრობს, „წრეში“ ტრიალებს,  
ქელებიც უყვარს, თამაშიც ხშირათ,  
შემოსავალი თუმც არ სჩანს მისი,  
ხარჯვას და ფლანგებს არ აგდებს ჩირათ.  
თუ ამას ფარავს გარშემო უყველა,  
მე რაღის გავხდე, მიბრძანეთ ერთი,  
რად მსჯის ეშმაკი ჯოჯოხეთიდან,  
ან სამოთხიდან საბაოთ ღმერთი?  
ეხლა ხომ მიხვდით, ქაჯთა მეფეო,  
უმართლოთ მაწერთ სიმხდალე შიშა,  
გამბედაობას მიწუნებ ქართველის!  
არ გევადრება ქართველის ჯიშა.

ბუტუნა.

## გამოქცეულები.

— მართლა, კინაღიმ არ გადამავიწყდა? წელან  
ფოსტალიონმა დეპეშა გაღმომცა. წამოიძახა ილია  
მანუჩარიჩმა, უბიდან დეპეშა ამოიღო და კითხვას  
შეუდგა.

— რაო? !? რაო? !?

რამდენი გადმოხვეწილია ქუთაისის გუბერნია-  
შიო?!. როგორ?!. ჩემი ქალაქი თბილისი ხომ არ  
ჰამა-ცხონებულს, რომ გადმოხვეწილებს ად-  
გილი ჰქონოდა?... ცდები, ცდები... შე. დაიღრი-  
ალი ილია მანუჩარიჩმა და რაიანდული სისწრაფით  
მიიჭრა ტელეფონთან.

— დზინ... დზინ... დზინ... —

— ვინ ლაპარაკობს აა? ჩასხაბა ილიამ.

— მე ვარ მე, ვანო! \*) იყო პასუხი.

— ააა ვანო... გამარჯობა... სადა ხარ კაცო  
რომ ველარ გხედავ ეს ექვის თვეა? მარა ამაზე სხვა  
დროს... შენ ეხლა მითხარი, ამ აბლო წარსულში  
ოღასკურისკენ, ან სიფირჩისკენ ხომ არ აგიღლია?!

— საფირჩიაზე გასული თვის ხუთ რიცხვს  
დავაპირე ასვლა; მინდოდა უღროოვოთ დაკარგუ-  
ლი მეგობარი საფლავის კარამდე მიმეცილებია, მაგ-  
რამ არც ერთმა მეეტლემ არ წამიყვანა; ფეხით იქ  
გადასვლას კი, როგორც იცი, კაი ბიჭი უნდა, ჩემო  
ილია.

— ოღასკურასკენ?

— ოღასკურაზე ამ კვირია ვიყავი იმავე მიზ-  
ნით, მაგრამ ნეტავი შენის კარგად ყოფნით სულ  
არ წაესულიყავი... ველარც მიზანს მივაღწიე და  
ფეხი კი შიგ მუხლში ვიღრძე. ეტლს და მეეტლეს  
რა მოუვიდა ახლაც არ ვიცი, რადგან მე მხოლოდ  
დღეს დილით მოვედი გრძნობაზე. რადა, რაშია  
ილია საქმე?!

— რაშია საქმე და ჩვენი დედა ქალაქის არა  
მკითხე თავი, დეპეშით მეეკითხება თფილისიდან:  
რამდენი გადმოხვეწილია ქუთაისის გუბერნიაშიო...  
იმას კი არ კითხულობს არის თუ არა... არა, პირ-  
დაპირ, რამდენია! მართლა, იქნება მოჰკარი სადმე  
თვალი იმ გამოქცეულებს? ან თეატრში, ან ბაღში,  
ან კლუბში?!

— არა, არა და არც მგონია, რომ იყვნენ.

— ვი მეც მასე მგონია!! უკაცრავად, მშვი-  
ლობით იყავი...

\*) სამოქ. თვითმეტრთველობის წევრია.

— თურმე, ბატონო, კვალსაც ვერ მიაგწეს...  
ბარე ორმოცდა ათი კაცი ყოფილა. გაუბედავად  
წაილაპარაკა ილია მანუჩარიჩის შახურმა, რომელიც  
ხმაურობის გამო ოთაში შემოსულიყო.

— ვინ ყოფილა ბიჭი ორმოცდა ათი?  
— ოქენე რომ ბრძანებთ ბატონო ისინი...  
გაქცეულები.

— მერე შენ საიდან იცი??

— ლადიკავკაზში კი არა ბატონო, პეტრებუნ-  
წყში რა ხევდა იგი ვიცი თქვენის წყალობით... ასე  
მოგახსენებენ. ბარე ხუთი ქე ოუგორებიათ და სხვებს  
კი თავისთვის უშველიათო...

— ბიჭი რეებს ბოდავ?! რა პეტროვრადიო,  
რა ვლადიკავკაზიო! რა ოუგორებიათო. ხომ არ გა-  
გიცებულხარ!

— აბა მაგას რეიზა იკადრებ ბატონო... რამ  
გამაგიფა ჰამხელა კაცი... ჩემი თვალებით რომ არ  
წამეკითხა კიდო იტყოდა კაცი...

— რა, ბიჭი? რა წაიკითხე?

— რა, ბატონო, და ხუთი ქე მიაგორეს და  
სხვები მიწამ ჩაყლაპა თუ ცამ ვერავინ გაიგოვო...  
— ვინ გიაქცაო, ბიჭი, ვინაო?! — შეჰყვირა  
მრისხანეთ ილია მანუჩარიჩიმა.

— ჩაჩნები, ბატონო ჩაჩნებიო!?

— უთუოდ სიზმარშია ეს უბედური რა უჭირა  
და, ბიჭი, ჩაჩნებს გასაქცევი სად ჩაჩნები და სად  
ომი?

— აბა მაგას რეიზა კადრულობთ, ბატონო!!  
ციხეში მყოფი გაჭირვებულია, აბა რა ჯანაბამ და-  
ლინა?!?

— ჭეშმარიტად გაგიქდა ეს ოჯახდაქცეული.

— თქვე დალოცვილი, თუ არ კითხულობთ  
ამ გაზეთებს, ფულებს მაინც რეიზა იხთით ტყუილა.  
აგერ არ სწერია, ლადიკავკაზის ციხიდან 50 ჩელო-  
ვებ გეიქცაო ხუთი მოკლეს შვიდი დასკრეს და  
დანარჩენები გეიქცენო?..

— მოდი ახლა და ჭკუა ჭკითხე ამას!!! ქარ-  
თველი მაინც არ იყოს ეს ოჯახდაქცეულის შეილი!  
გულმტკინვეულიათ წარმოსთქვა ილია მანუჩარიჩიმა  
და სასოწარკეთილიათ ხელი ჩაიქნია.

— რავა, ბატონო სიცრუეა ვითამ?!!

— შეიძლება სიმართლეც იყოს, მაგრამ შე-  
გამოყენებულო, ვლადაკავკაზის ჩაჩნებზე კი არა,  
სათათრეთილან გადმოვეწილ სომხებზე ვლაპარა-  
კობთ.

— სომხებზე?! სომხები არ ვიცი და ჩვენი

მეზობელი დოხტურის ქართველი ლაქია კი გადახ-  
ლეწილა საცხა ორი დღე ეძებენ მარა კვალს ვე  
მიაგწეს.

— შენ არსად შეხვედრიხარ ქუჩაში გადმო-  
ხეწილ სომხებს?!

— თქვენ ქე მოგეხსანებათ. სიარულის შეტკ  
რას ვაკეთებ, მარა არსად არ დამინახავს...

— აკი მეც მასე არ ვფიქრობ რომ არსად არ  
არიან გადმოხვეწილები!! და ნურც ინებოს მღერობში  
მათი აქეთ გადმოხვეწა, თორემ ის გადმოხვეწილები  
ახლა რომ თბალისს ეპატრონებიან, წაილაპარაკა  
ილია მანუჩარიჩიმა და მსახური შემდეგი შინამრასის  
საპასუხო დეპეშით აფრინი ფოსტაში:

თფილის ე. ი. ხატისოვს;

„ჩემი ფეხით შემოვიარე მთელი ქუთაისის გუ-  
ბერნია, დაწყებული ალექსანდრეს ქუჩიდან, გიმ-  
ნაზიის ქუჩიმდე, მაგრამ ერთი, გადმოხვეწილი ვერ-  
სად ვიპოვე“. ი. შ. ჩიქოვანი.

### ბ. მწვანეულვალელი.

## გიგო და გიტო.

გიგო. ხოშგელდუმ გიტო! რას იტყვი ძამო,  
თუ რამე იცი აბა საამო?

გიტო. საფარ გელდ ყარდაშ! საქმეა ცუდათ,  
სიანს ეს ქვეყანა თლათ მოსპონ უნდათ.

გიგო. ჰო, ომი ძამო არ გკითხავ მაზე...

მომბეზრდა ბქობა პოლიტიკაზე.

მე მოგახსენებ შინაურებზე

ზოგ-ზოგ ბობოლა ბედაურებზე.

გიტო. რა გითხრა, აბა მაგათი ჭკუის  
კაცი გგონია—გღალატობს, სტყუის.

აგერ, ექიმი ვილაც—ბაია,

თურმე გაეგდო სურდა ხმაია...

გუშხამ ლესელებს წაჲკიდა ბელა,

განცხადებები გამოაქრელა:

„მოვედით ჩემდა უძლურებოო,

მე მკურნალი ვარ სანაქებოო,

მასთან ვიქმ საქმეს სისახლოსო

ქანქარს დაუტოვ სამკითხელოსო!“

შემოკრბენ ციებ-ცხელებიანნი

ურიცხვი ჭკვალებ-ცველებიანნი

ურმებ-ეტლებით და ჯალამბრებით,

დედავ! ვარია ტელეგრამებით...

ბილეთები სულ გაყიდულია

ახლა ვინ ეტყვის ხალხს რომ ტყულია...

**გიგო.** ფუ, შევარცხვინე ქაცობა მისი  
ეგ რა სიცრუის სცოდნია კურსი? ი  
აგერ მეც გითხრა ერთი ამბავი:  
ჩვენს კოპერატივს უქნია ხვავი...  
ორას ოცი და რაღაც ქანქარი  
აღარცა ჩვენ გვაქეს, აღარც მაქ არი.  
**გიტო.** ეგ როგორ მოხდა, გეთაყვანები,  
გუშამ რომ ქოდათ გრძელი ენები  
ნოქარი გარეთ გამოაბრძანეს  
და ესდეკობა მას დააბრალეს,  
მარა ახალი გაუჩნდით ჭირათ  
და წუნიობა დაუჯდათ ძეირათ!  
ეხლა მოიხმონ მახარობელი,  
(ჩიბათის ასჯერ დამამხობელი)  
ენა ქარბობით გატიტვლებული,  
და თავმჯდომარე ივან ქებული  
ამასთან კიდევ სამსონ ჭაბუკი,  
და უკრან პლატონს ნაღარა, ბუკი,  
ჩვენ დავამდეროთ: „ჩვენი კულის“  
რატომ მივანდეთ მაშ ბოსტანი ვირს?  
**გიგო.** საბჭოს წევრები რაღას შერებიან,  
არც ამეღავნებენ, აღარც წყრებიან?  
**გიტო.** არ ვიცი ძმაო, როგორ ვოქვა, თვარა  
გულს კი მაჟლია მაზე პატარა.  
სიმართლეც აქვენ, შრომასაც ბედვენ,  
მარა როდესაც ასეთებს ხელვენ,  
არც მწვადის დაწვა, არც შამუურ ტარის  
მოვალეობის ლალატი არის...  
**გიგო.** ეგ მარჩიელი ვინდა არისო  
ბეჭუკასას რომ ხშირათ დადისო?  
**გიტო.** აი ვის უნდა მწვავი მათრახი,  
ამ იფერისტმა დაძარცვა ხალხი.  
აქეთ-იქიდან მოაქვთ ძლვენია...  
მასპინძელს მაინც რათ არ რცხვენია?

**გიტო.** მშვიდობით ძმაო, კვლავ გნახავ კვირეს  
**გიგო.** გნახავ ამ თქმისთვის თუ არ გვიტირეს.  
ხიც-ხიც.



## დ ე პ ე შ ე ბ ი

**ფოთი.** „ეროვნულმა“ მუშებმა დაადგინეს როგორც პრესით ისე აგიტაციით სამკვდრო-სასი-ცოცხლო ბრძოლა გამოუტხადონ და სამუშაოდან გარეკონ „სამშობლოს ვარისმყოფელი მუშები, რომ ამით იხსნან როგორც ქართველი ბურუუაზია, ისე ქართული მრეწველობა დაღუპისაგან.“

**იქიდანვე.** ვადაჭეორიას სტამის მუშებმაც ამავე მიზნით გადასწყვიტენ გააგრძელონ სტამბაში მუშაობა ძველებურათ ე. ი დღე და ღამეში 4 სა-ათის დასვენებით მიუხედვათ ამისა, რომ ამგვარმა შრომამ ერთ მუშას უკვე დაუზიანა ფილტვები და ექიმის რჩევით თავი გაანება მუშაობას. რადგან ყოველი დიდი საქმე მსხვერპლს თხოულობს „მუ-შებიც“ სწირავენ.

**იქიდანვე.** ხე-ტყის ქარხნის მუშებსა და ხა-ზეინებს შორის დადგებული შეთანხმების პირობა ხაზეინმა მოისრავეშვილმა კოოპერატივის ფურნე-ში „შეინახა“, რადგან მოგეხსენებათ ფოთი ჭაო-ბიანი ქალაქია და პირობა დაობებისაგან და-იფარა. იგრეთვე ცხოვრებაშიც „დაცულია“ დადე-ბული პირობები მიუხედვათ იმისა, რომ ხაზეინმა თოდრაძემ ყოფილი მუშის მაგივრათ თავის ნათე-სავი დააყენა სამუშაოზე და მუშა „დასასვენებლათ“ გაუშვა. მუშებიც „გამოფხიზლდენ“ ამ გარემოე-ბით და ყოველ საღამოობით იკრიბებიან „თადეო-ზის სახელმისამართის სახლში“ მუშა თედორი-იას „ლექციების“ მოსამენათ.

## ბუტუნას სააგენტო.

**ქაცხი.** მცირე რიცხვოვანი ჯგუფი, მასწ. ქა-ლის ქოჩიაშვილის მეთაურობით, დაბინდებისას მო-ულოდნელად თავს დაეც საქალებო სკოლას, დაა-ხევინა განაპირო სოფლამდის და გამაგრდა აბესაძის დუქანში, ღელის პირად. თავზარ დაცემულმა ხალ-ხმა კონტრ-იერიში მიიტანა და შესძლო შეკლა ისევ საზ. შეაგულში შემოეტანა. მიუხედავად იმი-სა, რომ საქმე მცირე ჯგუფის სასტიკი დამარცხე-ბით გათავდა, ჯერაც გამოურკვეველია, თუ ვინ უნდა ზღოს ომისგან მიყენებული ზარალი.

ზახრუშა.

**ს. დარჩელი.** არ შემიძლია არ დავეთანხმო მე-20 ნომერში ბ. ხანის მიერ გამოცხადებულ დე-

ჰეშას. აქაც ბ. მ. კანდელაკის აფთიაქში დამზადებული წამალი ისეთივე სხვა და სხვა მიზეზების გამო როგორათაც დ. აბაშის აფთიაქში, ნაკლებ სა-იმედოთ იქმნა ცნობილა დარჩელის ზოგიერთ პირებისაგან, რომლებმაც მიიღო კიდეც „აგენტობა“ მეზობელ ს. კახათის აფრთხექარი ბ. ე. ნადარეი-შვილისა და ელვის სისტრატით გააკრცელეს ხმა: „ცივების უებარი წამალი „სეკრეტი ნადარეიშვილისა“ იშვიერა მხოლოდ კახათში ისიც იაფად, მიუხედავათ ომიანობისათ“. მართლაც კურთხეული იყოს ნიჭიერება ამ პატიოსან გვამისა, დიდალი ხალხი მიიზიდა და გაპურნა დროებით. საუბრეულოთ მმართველი თითონ არის, მუშა ხელიც მეტი არა ყავს და ვერ აუდის მუშტრებს, რიგის გარდა (როგორც სადგურის კასაში) არვის ლებულობს, მაგრამ უფრო ხელს უშლის სუსტ ავათმყოფებთან დასახედავათ წაბრძანება. ვინც ელირება კი „სეკრეტის“ (ანილინ გარეული ქინა) კაპსულების შეძენას მის ბედს ძალი არ დაყვის, თუნდ ციებისა განაც არ განიკურნოს სანამ ათი კაპსულის მიღებას გაათვავებდეს ლაზათიანათ შეუდებავს ცისფრათ შარდს.

დიდათ დავალებული ვიქენები ბ. ეშმაკისაგან ნებას მომცემდეს მათის მეოხებით მაღლობა გამოუხადო იმ მეცნიერ ადამიანს ასეთი უებარი „სეკრეტი“ წამლის გამოგონებისათვის და ბ. ბ. აგენტებს რო კარგა დაპრეს საყვირი და ტყვილათ გაუგებრათ არ დაგვაკარგვინენ წამლის ფასი ჩვენს დარჩელის ძველ აფთიაქი (დიდი ხანია აქ ეს აფთიაქი არსებობს და კურთხეულ კანდელაკსაც იმდენი „ზაპასი“ ქონია, რო დამველებულა თურმე წამლები!).

უანი.



ზოსიმეს. თქვენი ლექსი „გოდება“ ასე თავ-დება:

„მე რადა გარ ქეკეაზე  
და რა მიღიას მე ცხოვრება?  
დედა-ენას რო ვერა ვსწნო,  
ენაზედ რომ შებარება.  
და მეითხეველ, მერ ჭაბუკ,  
დროს ნე ჭკარგავ სჯობს;  
თორემ ჩემებრ მოინადველი,  
ასე იტევი ფარ, ფარ.“

ეჭვს გარეშეა, მკითხველი ჭაბუკიცა და ხნიერიც უთუოდ იტყვის „ვაი, ვაის“, როცა ამგვარ ნაწარმოებს წაიკითხავს.

**ლუკა ტბისპირელს.** თქვენ გვაცნობებთ: „წემი ცოდნა ცოტა თეძი ჩავარდნალა, თგალები განზე აქვს მიღირეცილი, ცხირი სპილოს ხორთუმს მიუგას, ეურთ სმენა აკლა, თორემ სისხლ კიდევაც სჭარბიბს და სხვა“.

თქვენ როგორც ხელავთ ბეღნიერი ყოფილ-ხართ, ხოლო ჩვენ მამინ ჩავთვლით თავს ბეღნიერათ, თუ მან წერა არ იცის.

**ცილთას პირელს.** არც სახუმაროა, არც სერიოზული, არც დაიბეჭდება.

**განჯელს** (და სხვა ამგვარებს). სარედაქციო წერილი იწერება ქალალის მარტო ერთ მხარეზე პროზათ (ან ლექსათ). წერილის შინაარსი უნდა იყოს საინტერესო და სიმართლისაგან არც დიდათ დაშორებული. წერილის ბოლოში დაწერმა უნდა მოაწეროს თავისი სახელი, მამისახელი და გვარი. ამის შემდეგ შეუძლია ფსევდონიმიც აღნიშოს.

**დიკოლას.** „სუფსაში დიდი კარტ ბაქი-ბუქის თა-მაშიათ“ — იწერებით თქვენ. ეს როდაც ახირებული თამაში უნდა იყოს „ბაქი-ბუქის“ თამაში. „მე არ მიუვარს, მაგრამ მაინცა გეჩირები“. .

საკვირველია ღმერთმანი, თუ არ გიყვართ რა-ლას ეჩირებით?

**ჭაგნელ ჩიტუნიას.**

„ჯერ ვესტრუმერები ვეჭარ „სიხინას“  
მიუდიდინებ ნედათ“

(ესა თუ სარით გამოშევიდა  
ის არის სათაბეჭათ“)

რედაქტირია „ეშმაკის მათრახისა“ გულწრფელი დ  
გირჩევსთ მიხვიდეთ იმ „ხიხინა ვაჭართან“, თუ კი  
ის მართლა სარით გამოგევიდგა. ვინ იცის!

„ლ“-ს. თქვენ სამი ლექსი გამოგზავნეთ. ერთს  
აწერია „ლ. კვატია“, მეორეს „ლ. ჭუკია“, მესა-  
მეს „ლ. გოჭია“.

ფსევდონიმი ყველგან შესაფერია, მაგრამ ლექ-  
სი არცერთი არ გამოდგა. ივარჯიშეთ სხვა ცხო-  
ველებზედაც.

ლეის პირელს. თქვენს ლექსს მნიშვნელობა  
ექნებოდა მარტო ხოფისათვის და ისიც მაშინ, თუ  
რომ ბ-ნი ფერშალი დარჩენილიყო, მაგრამ ის რა-  
კი მოგშორდათ სხვა რაღაა საჭირო.

„გოროდისტ მარადისტს“. თქვენი პატარა წე-  
რილი სამჯერ წაიკითხეთ და მხოლოდ ერთად-  
ერთი დასკვნა გამოვიტანეთ: დავიტოვოთ თქვენი  
ფსევდონიმიდან ორი ანბანი უფრნალში დასაბეჭ-  
დათ, სახელდობრ პირელი სიტყვიდან ასო „ს“,  
ხოლო მეორედან ასო „ტ“, დანარჩენს დაგიბრუ-  
ნებთ თქვენ.

ევსევის. აი თქვენი „სიზმარი“.

„ერთხელ სიზმრად დიდ შიდონზე  
საჭხესა თავი მოუქარა,  
შუანკარეს გილგელი დაეჭირა  
და ჩამისასრიბათ მოუქარა.  
ამ დროს ზეგით ავიხედე  
მომქნენა რაღაც ერთი,  
დაფუჭვირდი, ქვევით მოდითდა  
უფლებათ შეძლე მშა დმერთი“.

მაულობა ღმერთს, რომ ჩვენ ცხადში ვნახეთ  
თქვენი ლექსი. თორემ „სიზმრის ახსნაში“ სწერია:  
— და ამ იხილოთ უშენ და უდაბათ აზრისა თვენიერ  
ნათხეზი — აფა. ძალია ცოფიანმა გიქინოს.

იპო თრჯონიკიძეს. „ლიტური“ აღმოჩნდა.  
წაიყვანეთ „განათლების“ კანტორიდან.

## პატარა სცენა

— გამარჯობა ივანე შენი.  
— სიმონს გოუმარჯოს, მობრძანდი, რა გნე-  
ბავს?

— ერთი წულა მინდა, ძამია და თუ რიგია-  
ნათ მომცემ კი დაგიმაღლება.

— შენც კი იცი, ჩემო სიმონ, ყორიფელი  
გაძვირებულია, თავის რჩენა გაჭირდა, მარა შენ  
მაინც რიგიანათ მოგცემ. ჩემი ძველი მუშტარი ხარ.  
(იღებს და აძლევს წულებს). — აგი ცამეტი აბაზი,  
აგი კი სამი მანეთია.

— რა ამბავია, კაცო, აშისიძვირე? კი მითხა-  
რი ძვირია, მარა ცეცხლი თუ ეკიდებოდა აი კი  
აღარ ვიკოდი.

— რა ვქნა, სიმონ, ტყავი გაძვირებულია, და  
ათასი ბანდიც მაქ, რომ ჩამოგიყვე თითები არ აგი-  
თავდება.

— ბანდი ჩემდენი შენ არ გექნება ძამია!

— ამას ნუ იტყვი სიმონ. მიჩვენე ხელი (სი-  
მონ აძლევს ხელს, ივანე კი თითო თითოთ აკა-  
კეთებელი, ახლა მოკავევ მეორე, — აი ჩემი უფრო-  
სი ქალიშვილი ლუბაიეთა, მოკავევ მესამე, უმცრო-  
სი ქალიშვილი თამარაი, მოკავევ მეორე — ჩემი  
ცოლი მატრონაი, ახლა მე მომკავევ, ძმაო, აღას  
მერჩი, მეც ჭამა მინდა. ამდენი ხლაფორთი მაქ  
ძმაო, ეს ყველა ჩემმა მუშაობამ უნდა გაასწოროს.

— შენ ძმაო ხუთი დაგირჩა მოსაკავავი და  
მე რომ ჩამოგითვალო ფეხის თითებიც უნდა მია-  
ტოლო. შენ სახლი ქე ააშენე, მე ღორი როის  
გამიტანს საფარეშოდან იგიც არ ვიცი. თუ ნაკლებ  
მომცემ კარგია, ძმაო, თვარი რა გიყო შენი ნებაა.

— ვერა, ძმაო, არ შემიძლია.

— მშვიდობით ბრძანდებოდე. (მიღის).

— მშვიდობით, ისთე შენი ხათრიზა თრო-  
შაურს კი დაგიკლებ.

— ვერა, ძმაო, ეს ნამეტარი ძვირია, შენ  
რომ მოსაკავავი გყავს ყველას რჩენას მე თუ მი-  
კვეთ, მაინც გამძრობია ქათიბა და იგია.

ჩიკვატია.

იბეჭება და ამ მოკლე ხანში გამოვა კ. თავართ-  
ქილაძის მიერ შედგენილი და კანტორა „განათ-  
ლების“ მიერ გამოცემული 1916 წლის.

## კერძოს კალენდარი

კალენდარი დასურაოხატებული იქნება მწერ-  
ლების და საზოგადო მოღვაწეობის სურათებით,  
მოზრდილი ფორმარის.

დაკვეთა ეხლავე შეიძლება შემდევი აღრესით:  
თიფლის, პორტი ი. ს. რ. თა-  
ვარტკილაძე.



რა მასმევს ლალიძის წყალს?

(ახნაზაროვისებური)

— ნაცნობები და ძმა-ბიჭები სულ იმის ჩამციე-  
ბიან და მეკითხებიან რა მასმევს ლალიძის წყალს?

— თქვენ ისა მეკითხეთ თუ რა არ მასმევს, თო-  
რემ მაგისი პასუხი აღვილია.

— რა მასმევს ლალიძის წყალს? პირველი ისა,  
რომ მინდა ვიცოცხლო და ჯანმრთელად ვიცო,  
ვიცი რომ ლალიძის წყალი ნამდვილი ბუნებრივია,  
ის არ არის სახარინითი და სხვადასხვა დოზანითი  
გამტკბარი, ვიცი რომ ის ფ-ლტრში გატარებული  
და გადადულებული წყლიდან არის მომზადებული,  
მაშასადამე მჯერა რომ მასში ის ის ოხერი რაღაცა  
ბაცილებია არ ერევა და ვიცი არ მოვიწამლები.  
რა მასმევს ლალიძის წყალს? მე რას მეკითხებით,  
თვით იგემეთ მისი გემო და მერე მე აღარ მეით-  
ხავთ და თუ მინც მეკითხავთ დამაცათ და მოგახ-  
სენებთ!


გაუფრითილი თქვენს ჯანმრთელობას — 80061800

მოითხოვთ  
კველგან!

ლალიძი

ხილულ-მაღნელულის  
საცურაონალო





მეეზოდე. ბატონო, პარენიც გავაყოლო?

ახალი გაზგე. გააყოლე. გააყოლე.